



საქართველოს
მართლმადიდებელ
ეკლესიასთან
არსებული
ქრისტიანული
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრი

ოთარ ჯანელიძე

ქართული სოფელი საუკუნეთა გასწვრივ

თეზისები

მოხსენებაში წარმოჩენილი იქნება ქართული სოფლის ევოლუცია და სოფლისადმი ქართველი ადამიანის მიმართება უძველესი დროიდან დღემდე.

სოფელი, როგორც დასახლებული პუნქტი, შორეულ წარსულში წარმოიშვა. ქართული ცხოვრების წესი, ქცევის ნორმები, ადათი, რიტუალები თუ ტრადიციები დიდწილად სოფელმა განსაზღვრა. ისტორულად, ჩვენი ღირებულებათა სისტემა, ეროვნული ხასიათის ბევრი ნიშან-თვისება და ეროვნული ცნობიერებაც სოფელში ჩამოყალიბდა.

სოფელი, როგორც წესი, მეფის, ფეოდალის ან ეკლესიის საკუთრება იყო. არაერთი სოფელი შეწირული იყო საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ეკლესია-მონასტრებისადმი და მათ მამულს შეადგენდა. სამეფო ხელისუფლება უფრო ხილდებოდა მიწის მუშაკს. „თუ ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდეს“, მეფე-პოეტის, არჩილის ეს შეგონება გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში მწარმოებელი ფენისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის პრინციპიც იყო და სამართლის კოდექსის ნაწილიც.

მტერთა ხანგრძლივი შემოსევების გამო ბევრი სოფელი უკაცრიელდებოდა და ნასოფლარად იქცეოდა. მოსახლეობის ნაწილი მომხდურთან ბრძოლას ეწირებოდა, ნაწილი ტყვედ მიჰყავდათ, ნაწილი კი შედარებით მშვიდ ადგილებში იხიზნებოდა. ყოველივეს მიუხედავად, ადამიანი იშვიათად მიატოვებდა სოფელს. წინაპართა საფლავების საკრალური ძალა და ზნეობრივი პასუხისმგებლობა უფლებას არ აძლევდა მას მოწყვეტოდა სამკვიდროს – მიწას, რომელიც სოფლისაგან განუყოფელი ფენომენი იყო.

ძველად სოფელმა ურთიერთგატანა იცოდა. არსებობდა ერთმანეთის დახმარების ტრადიცია – ნადი, რომელსაც ხვნის, ბარვის, თოხნის, სახლის მშენებლობისა და სხვა შრომატევადი სამუშაოების დროს იწვევდნენ. საქართველოს მთიელთა ცხოვრებას ძველთაგანვე ჩამოყალიბებული თემის ინსტიტუტი და ხევისბერები აწესრიგებდნენ.

რუსეთის იმპერიაში მოქცევის შემდეგ საქართველოში ბატონყმობის რუსული მოდელი დაინერგა, გლეხსა და მემამულეს შორის კონფრონტაცია გაღრმავდა. საბატონყმო რეფორმამ და კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრამ კი სოფლის ტრადიციული ცხოვრება ძირეულად დაანგრია. ყმობისაგან თავდაღწეული, მაგრამ უმინოდ დარჩენილი ათასობით გლეხი სოფელს გაეცალა და ლუკმა-პურის ძიებაში ქალაქს შეეკედლა.

კომუნისტური რეჟიმის დროს განხორციელებულმა მიწის ნაციონალიზაციამ, საშუალო და შეძლებული გლეხობის განკულავებამ თუ ძალდატანებითმა კოლექტივიზაციამ სოფლის მცხოვრებთა მიწისგან გაუცხოება გამოიწვია. სოფლებიდან მიგრაციის პროცესი დააჩქარა მთის მოსახლეობის ბარად ჩამოსახლების გაუმართლებელმა პრაქტიკამაც, რაც რელიეფურად აისახა ქართულ მწერლობასა და კინემატოგრაფიაში.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ბოლო პერიოდში განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შედეგად ცხოვრება კიდევ უფრო გაძნელდა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და სხვა ფაქტორების გამო საზღვარგარეთ გაიხიზნა თითქმის მილიონ ნახევარი ადამიანი. მათ შორის დიდი ნაწილი შრომისუნარიანი, ახალგაზრდა ასაკის სოფლის მოსახლეობაა.

თითქმის ორი ათეული წელია სოფელი თანამედროვე ინფრასტრუქტურის გარეშეა დარჩენილი. სახელმწიფოსაგან მიტოვებული გლეხკაცი მართა თავის პრობლემებთან. იგი მოკლებულია ხელშეწყობას სოფლის მეურნეობაში მონიწივე ცოდნის შესაძენად, ვერ სარგებლობს იაფი კრედიტით, უჭირს მონეული მოსავლის გასაღება და სხვ.

განხორციელებული პრივატიზაციისა და მიწის რეფორმის შედეგად სოფლად მცხოვრებ 700 ათას ოჯახზე დამუშავებისათვის ვარგისი

მხოლოდ 700 ჰექტარი სავარგული, ანუ ერთ ოჯახზე 1 ჰექტარი მიწა გაიცა, რაც აბრკოლებს ისედაც მცირე ტექნიკის ეფექტურ გამოყენებას. ფერმერული მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის მხოლოდ ერთი მეოთხედი იღებს სასაქონლო სახეს, დანარჩენი კი ადგილზე მოიხმარება, მაშინ როდესაც, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 47 პროცენტი (20 წლის წინ ეს მაჩვენებელი 20 % იყო).

2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 3 668 სოფელი აღირიცხა. მათგან 162 მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილი იყო. დღეისათვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესებულია.

ტრადიციულად, ქართული სოფელი ქალაქს სურსათთან ერთად ინტელექტუალური ძალებითაც კვებავდა. ბოლო პერიოდში სოფლის როლი ერის სულიერ ცხოვრებაში მკვეთრ დაქვეითებას განიცდის, ქართველი კაცის თვალში სოფელს ძველი ხიბლი და მიმზიდველობა დაეკარგა.

ქართული სოფელი, მის მკვიდრთა პრობლემები საქართველოს ეკლესიის, პირადად კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მუდმივი ზრუნვის საგანია. შექმნილი კრიტიკული სიტუაციის დასაძლევად მისმა უწმინდესობამ არაერთი საგულისხმო წინადადება წამოაყენა.

2013 წელს საქართველოს ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტატეგია შეიმუშავა. იმედია, ხელისუფლების, ეკლესიის, საზოგადოების საერთო ძალისხმევა შედეგს გამოიღებს და ქართული სოფელი განსაცდელს გადაურჩება.

მოხსენებას დაერთვება რამდენიმე რეკომენდაცია სოფლად არსებული ვითარების გაუმჯობესების მიზნით, რომელიც წარედგინება შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს.